პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2026 წლის _ _ სექტემბერი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — რევაზ დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4826250137**
თარიღი: **07/09/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გიგზავნით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2026 წლის I-II კვარტლის შესრულებული სამუშაოების ახგარიშს.

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

ანგარიში

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

2026 წლის I-II კვარტლის განმავლობაში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური საქმიანობას ახორციელებდა სამსახურის დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილებებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები მოიცავდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო პროცესების ზედამხედველობას, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურული საკითხების რეგულირებას, სამშენებლო და სხვა შესაბამისი ნებართვების გაცემას, მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული საკითხების განხილვას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პრობლემური და უსახური შენობა-ნაგებობების გამოვლენას, სამართალდარღვევებზე რეაგირებას, ასევე მოქალაქეებისა და სხვადასხვა უწყების წერილებზე დროული და კომპეტენტური პასუხების მომზადებას.

სამსახურის მიერ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სამშენებლო პროცესების კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფას. განხორციელებული მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა სამშენებლო სამუშაოების დადგენილი წესებისა და სანებართვო პირობების დაცვა, უკანონო მშენებლობის პრევენცია და გამოვლენილ დარღვევებზე კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სამშენებლო ობიექტებზე განხორციელდა არაერთი მონიტორინგი. შემოწმების პროცესში სამსახურის თანამშრომლები სწავლობდნენ როგორც მშენებლობის კანონიერებას, ასევე გაცემული ნებართვებითა და შესაბამისი პირობებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებას.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა 23 სამართალდარღვევა, რომელთა მიმართაც განხორციელდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი რეაგირება. მათგან 12 შემთხვევა შეეხებოდა სამშენებლო-სანებართვო პირობების დარღვევას, ხოლო 11 შემთხვევა — უნებართვო მშენებლობას. გამოვლენილ ფაქტებზე შედგა შესაბამისი დოკუმენტაცია და განხორციელდა კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებები.

სამართალდარღვევებზე დაკისრებული ჯარიმებიდან ადგილობრივ ბიუჯეტში საანგარიშო პერიოდში ჩაირიცხა 14 400 ლარი, რაც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი შემოსავლების მობილიზებას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უწყობს სამშენებლო სფეროში არსებული წესებისა და მოთხოვნების დაცვის გაუმჯობესებას.

სამსახურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების მდგომარეობისა და მათი იერსახის მონიტორინგი. ამ მიმართულებით გამოვლინდა სახელმწიფო, მუნიციპალურ და კერძო საკუთრებაში არსებული უსახური შენობა-ნაგებობები, რომელთა მდგომარეობა და ვიზუალური მხარე საჭიროებს მოწესრიგებას, როდესაც მონიტორინგის შედეგად დგინდება, კონკრეტული შენობა-ნაგებობა ავარიულ მდგომარეობაშია და მისი არსებობა შესაძლოა საფრთხეს უქმნიდეს მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, სამსახურის მიერ განიხილება კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების საკითხი, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, შენობა-ნაგებობის დემონტაჟის შესაძლებლობა.

სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო სამშენებლო და სივრცითი მოწყობის სფეროში მოქალაქეებისა და იურიდიული პირების განცხადებების განხილვა. თითოეული განცხადება განიხილებოდა შესაბამისი სამართლებრივი და სივრცითი გარემოებების გათვალისწინებით, დადგენილი პროცედურების დაცვით.

2026 წლის I-II კვარტლის განმავლობაში სამსახურის მიერ განხორციელდა შემდეგი სახის ადმინისტრაციული და მომსახურებითი საქმიანობა:

1. 51 ობიექტზე გაიცა მშენებლობის ნებართვა;

2. 29 ობიექტზე გაიცა მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები;

3. 54 ნებართვა გაიცა ხაზოვან ნაგებობებზე;

4. 6 შემთხვევაში გაიცა სარეკლამო ბანერის განთავსების ნებართვა;

5. 13 ობიექტი მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში;

6. 97 თანხმობა გაიცა მიწის ნაკვეთების გაყოფასთან დაკავშირებით;

7. 24 თანხმობა გაიცა მიწის ნაკვეთების გაერთიანებასთან დაკავშირებით;

8. დარეგისტრირდა ბინათმესაკუთრეთა 3 ამხანაგობა;

9. 22 თანხმობა გაიცა მშენებლობის ვადის გადავადებასთან დაკავშირებით;

10. 36 მოქალაქეს გაეწია შუამდგომლობა სხვადასხვა სახელმწიფო და სხვა შესაბამის უწყებაში;

11. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შემოსულ 16 წერილს გაეცა შესაბამისი პასუხი, რომლებიც შეეხებოდა 2023 წლის 1 დეკემბრამდე აშენებული შენობა-ნაგებობების ლეგალიზაციის საკითხებს.

აღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, რომ საანგარიშო პერიოდში სამსახურს მნიშვნელოვანი მოცულობის ადმინისტრაციული და პრაქტიკული სამუშაო ჰქონდა შესასრულებელი. განსაკუთრებით მაღალი იყო მიწის ნაკვეთების გაყოფასა და გაერთიანებასთან დაკავშირებული მიმართვების რაოდენობა, რაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწის რესურსების გამოყენების საკითხების აქტუალურობაზე მიუთითებს.

სამსახურის მიერ ასევე აქტიურად ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო მოსაკრებლის ადმინისტრირების მიმართულებით შესაბამისი ღონისძიებები. 2026 წლის I-II კვარტალში სამშენებლო მოსაკრებლიდან ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ შეადგინა 40 880 ლარი.

მნიშვნელოვანი მიმართულება იყო ასევე დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების პროცესში ჩართულობა. სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა შესაბამის სამსახურებთან და მონაწილეობდა ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების ღონისძიებებში.

2026 წლის I-II კვარტალში ადგილობრივ ბიუჯეტში დასუფთავების მოსაკრებლიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 117 530 ლარი, მათ შორის:

* იურიდიული პირებიდან — 102 800 ლარი;

* ფიზიკური პირებიდან — 14 730 ლარი.

დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების მიმართულებით განხორციელებული სამუშაოები ხელს უწყობს როგორც ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზებას, ისე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისა და გარემოს დაცვის მიმართულებით არსებული ვალდებულებების შესრულებას.

სამსახურის საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო მოქალაქეებთან კომუნიკაციასა და მათი პრობლემური საკითხების შესაბამის უწყებებთან კოორდინაციას. მოქალაქეთა განცხადებებისა და საჭიროებების შესწავლის საფუძველზე, შესაბამის შემთხვევებში, ხორციელდებოდა შუამდგომლობა სხვადასხვა სახელმწიფო, მუნიციპალურ და სხვა კომპეტენტურ უწყებაში.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა სხვადასხვა უწყებიდან შემოსულ 650 წერილს გასცა პასუხი. აღნიშნული მაჩვენებელი ნათლად ასახავს სამსახურის ყოველდღიური საქმიანობის მნიშვნელოვან მოცულობას და იმ პასუხისმგებლობას, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა საკითხზე დროული, არგუმენტირებული და კანონმდებლობასთან შესაბამისი პასუხების მომზადებასთან.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ინფორმაციის გაცვლასა და თანამშრომლობას. სამსახური აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ სახელმწიფო და კერძო უწყებებთან, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა საკითხის დროულად შესწავლას, წარმოქმნილი პრობლემების ოპერატიულ გამოვლენას და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას. უწყებათაშორისი თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომელთა სრულყოფილი განხილვა მხოლოდ ერთი სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში ვერ ხერხდება. ასეთ შემთხვევებში სამსახური უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის მოძიებას, საკითხის შესწავლას და კომპეტენტურ უწყებებთან კოორდინირებულ მუშაობას.

2026 წლის I-II კვარტალში სამსახურის საქმიანობა ასევე მიმართული იყო მუნიციპალიტეტის სივრცითი და არქიტექტურული განვითარების ხელშეწყობისკენ. სამშენებლო ნებართვების, მიწის ნაკვეთების გამოყენების პირობების, ხაზოვანი ნაგებობების, მიწის ნაკვეთების გაყოფისა და გაერთიანების, ასევე სხვა საკითხების განხილვისას გათვალისწინებული იყო მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და მუნიციპალიტეტის განვითარების ინტერესები.

სამსახურის მიერ განხორციელებული მონიტორინგი და ადმინისტრაციული საქმიანობა მიზნად ისახავდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კანონიერი, მოწესრიგებული და უსაფრთხო სამშენებლო გარემოს შექმნას, მოქალაქეთა ინტერესების დაცვას, უკანონო მშენებლობების პრევენციას და არსებული პრობლემების ეტაპობრივად მოგვარებას.

სამომავლოდ სამსახური გააგრძელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სამშენებლო პროცესების მონიტორინგს, გამოვლენილ დარღვევებზე შესაბამის რეაგირებას, შენობა-ნაგებობების იერსახის მოწესრიგების მიმართულებით მუშაობას, მოქალაქეთა განცხადებებისა და წერილების დროულ განხილვას და სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო უწყებასთან აქტიურ თანამშრომლობას.

ამასთან, გაგრძელდება მუშაობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პრობლემური ობიექტების გამოვლენისა და მათი მოწესრიგების, სამშენებლო სფეროში კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის, ადგილობრივი ბიუჯეტის შესაბამისი შემოსავლების მობილიზებისა და მოქალაქეებისთვის ეფექტიანი მუნიციპალური მომსახურების უზრუნველყოფის მიმართულებით.

საბოლოო ჯამში, 2026 წლის I-II კვარტალში ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა მოიცავდა როგორც ყოველდღიურ ადმინისტრაციულ მომსახურებას, ისე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესების მონიტორინგს, სამართალდარღვევებზე რეაგირებას, სამშენებლო და სივრცითი საკითხების მოწესრიგებას, მოქალაქეთა საჭიროებებზე რეაგირებასა და სხვადასხვა უწყებასთან კოორდინირებულ მუშაობას.

პატივისცემით,

ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

იასონ გაბუნია